პარტიულ ორგანოებსა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის რუსთავის **საქალაქო** კომიტეტის მდივანი ამხ. სვეტლანა პეტრეს ასული **ვასილიევა-ამირიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაფჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 29 ოქტომბერი.
№ 431—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1985 წლის 14 და 21 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილებები „ლიმიტით სასწავლებლად გაგზავნილი სამედიცინო კადრების რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში დამაგრების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის ინფორმაციის თაობაზე“ და „ქ. ქ. ბორჯომსა და წყალტუბოში გარემოსა და ბუნებრივი კლიმატური ფაქტორების დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის კომისიისა და ბუნების დაცვის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიების ინფორმაციები აღნიშნულ საკითხებზე გადაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო რეაგირებისათვის.

*

* *

31 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **მორიგი სხდომა. მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავ**მჯდომარის მოადგილის ამხ. ო. ვარძელაშვილის ინფორმაცია „სსრ კავშირის **მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების შესა**ბამისად ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამო**ყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეო**ბის თაობაზე“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **რესპუბ**ლიკის სამინისტროების, **სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახალხო** დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებु**ლებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების** ხელმძღვანელთა ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანად მიიჩნია ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის, ბუნებით სარგებლობის ნორმები**სა და წესების დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება** და კეთილსაყოფლოება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნი**კური პროგრესის მიღწევათა ბუნებისა და მისი რესურსებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებასთან შეხამების უზრუნველყოფა, ადამიანთა ცხოვრებისა** და ჯანმრთელობის, შრომისა და დასვენების ყველაზე კეთილსასურველი პირო**ბების შექმნა და დაავალა სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყე**ბებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებებით, ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონით, „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ კანონით, „ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების თაობაზე“ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილებით, დასახონ და გეგმაზომიერად განახორციელონ დამატებითი ქმედითი ღონისძიებანი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა უფრო რაციონალურად გამოყენების, მიწისა და წყლის რესურსებით სარგებლობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მიწებისა და წყალსატევების სამრეწველო ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებით, შხამქიმიკატებით, ნავთობ-პროდუქტებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანების აცდენის უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, ავტონომიურ ხალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება ბუნების დაცვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, აღდგენისა და განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავებისა და განხორციელების, ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ ამ გეგმების შესრულებისადმი კონტროლის საქმეში;

გაძლიერონ კონტროლი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის **შესრულებისადმი, მკაცრად მოსთხოვონ იმ პირთ, რომელთაც ბრალი მიუძღვით** ბუნების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის დარღვევაში;

უზრუნველყონ ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების თაობაზე, მიწისა და მისი წიაღისეულის, ტყეებისა და წყლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად შესრულების საკითხების გადაწყვეტაში;

მიაპყრონ საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებ**ის, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, თითო**ეული **დეპუტატის ყურადღება გარემოს** დაცვასა **და ბუნებრივი რესურსების** ძალსიმალურად გამოყენებას;

ღრმად შეისწავლონ საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა და განიხილონ ეს საკითხი 1986 წლის ერთ-ერთ სესიაზე;

სოცშეჯიბრის შედეგების შეჯამებისას გაითვალისწინონ ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის ჩატარებული მუშაობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ **ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის** დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო **კომიტეტს**, სხვა სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, **სახალხო** დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

მკაცრად მოსთხოვონ საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, **საბჭოთა** მეურნეობებს ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების შემცირების ღონისძიებათა უცილობლივ განხორციელება;

კონტროლი დაწესონ კვამლ-და გაზსაწმენდი ნაგებობებისა და მტვერ-**დამჭერების** დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი;

№ 14

სრულყონ ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შემცირდეს ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვები და მისი გაჭუჭყიანება, ასევე ნიაღვრონ ავტომანქანებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციისას გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შემცირებას.

დაევალათ:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის სა-
სამართლოებსა და პროკურატურის ორგანოებს — უფრო მკაცრი სანქციები გამოიყენონ ბუნების დაცვის დარგში კანონმდებლობის დამრღვევებისადმი, გაძლიერონ ბრძოლა ბრაკონიერობასთან;

საქართველოს სსრ პროკურატურას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად — განაზოგადოს ბუნების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს თავისი **წინადადებანი 1986 წლის 1 მარტამდე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების **სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს** სსრ **კულტურის სამინისტროს, საქართველოს** სსრ **ტელევიზიისა და რადიომაუწ-**ყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ **პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს** — **განაგრძონ** მუშაობა მოსახლეობის, **სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის** ეკოლოგიური განათლების **სრულყოფისათვის, ამ დარგის სპეციალისტების** მომზადება-გადამზადების **გაუჯობესებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური** პროპაგანდის **გაძლიერებისა** და **ბუნების** დაცვის **შესახებ** მოქმედი **კანონმდებლობის** თაობაზე ცოდნის გავრცელებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს რჩევა მიეცათ გაძლიერონ დახმარება სახელმწიფო ორგანოებისადმი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაეკალა მუდმივი კონტროლი გაუწიოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩატარებას, ამაღლოს მათი პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის საკითხებზე და ბუნების დაცვის ნორმებსა და წესებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად შესრულებისათვის, სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსურ პრობლემებზე რესპუბ-

ლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციათა შესრულებისათვის; შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა სსრ კავშირის მეცნიერთა თერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილებებზე, სადირექტივო ორგანოების მითითებათა შესასრულებლად და წარმოუდგენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1986 წლის აპრილში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცათ — **მეტი ყურადღება დაუთმონ ბუნების დაცვის შესახებ** კანონმდებლობის პროპაგანდას, ბუნებრივ სიმდიდრეთა ყაირათიანი, რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას, ბუნების დაცვისათვის მუშაობის მოწინავე ფორმების **განზოგადება-გავრცელებას, ბუნებრივ** სიმდიდრეთა **დაცვასა** და აღდგენას, ამასთან მრავალფეროვანი გახადონ სტატიების, ნარკვევებისა და ჩანახატების შინაარსი.

*

* *

მოისმინა რა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილსა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო **დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის** სრულყოფისათვის ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის **შესახებ“** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების **შესრულების** ღონისძიებათა თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმმა დაადგინა ზემოაღნიშნული დადგენილების** მოთხოვნები მიღებულ იქნეს განუხრელად სახელმძღვანელოდ და საფუძვლად დაედოს საქართველოს **სსრ** უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ყველა რგოლის საქმიანობას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობაზე გავლენის გასაძლიერებლად და დაამტკიცა ღონისძიებათა გეგმა.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით მოიწონა თბილისის **დიმიტროვის სახელმის** საავიაციო **საწარმოო** გაერთიანებაში **დეპუტატთა საწარმოო ჯგუფის მუშაობის** გამოცდილება **და ამ** საკითხზე **ჯგუფის ხელმძღვანელის საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** დეპუტატის ვ. კუბლაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია დაუგზავნა სახალხო **დეპუტატთა** რაიონული **და საქალაქო** საბჭოების **აღმასრულებელ კომიტეტებს** დეპუტატთა ჯგუფებისათვის **გასაცნობად.**

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გულდასმით შეისწავლონ დეპუტატთა თითოეული ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფის საქმიანობა და წარმართონ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების, „საქართველოს სს რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და დეპუტატთა საგუშაგოების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესახებ. მისად. ამ მიზნით:

უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების და 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში; საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშა-მოსამსახურეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში;

ფართოდ ჩაბან დეპუტატთა ჯგუფები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების, მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საქმეში;

ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატთა ჯგუფებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ყოველდღიურ საქმიანობაში. შეუქმნან ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობები, უზრუნველყონ ისინი საინანდო საინფორმაციო-საცნობარო მასალებითა და ლიტერატურით სამართლებრივ საკითხებზე, რეგულარულად გააცნონ საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებები, მუდმივი კომისიების რეკომენდაციები, მიაწოდონ ინფორმაცია საბჭოებისა და მათი ორგანოების საქმიანობის, მათს წინაშე დასახული ამოცანების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის, მოსახლეობის კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დეპუტატთა ჯგუფებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ შრომითს კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახალხო კონტროლის ჯგუფებთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, საბჭოების მხრივ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ხულიგნობასთან, მუქთახორობასთან, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან, სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებაში;

ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი დეპუტატთა ჯგუფების შემოქმედებითს ინიციატივას, ოპერატიულად განიხილონ მათ მიერ დაყენებული საკითხები და მიიღონ სათანადო ზომები შემოტანილი წინადადებების დროულად შესრულებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი შეუწყონ დეპუტატთა ჯგუფებს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში, ფართოდ ჩააბან ისინი მმართველთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-რეგავრებაში, დღენიადაგ იზრუნონ იმისათვის, რომ თითოეული დეპუტატთა ჯგუფი კარგად ერკვეოდეს მოსახლეობის მოთხოვნილებებში, იღწოდეს შესაძლებლობის ფარგლებში მათი დაკმაყოფილებისათვის, ამომრჩეველთა მიერ აღძრული საჭიროროტა საკითხების შესახებ ინფორმაციებს აწვდიდეს საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს, შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს;

ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში სესიებზე დეპუტატთა ჯგუფების ანგარიშების მოსმენა. **განახორციელონ** სათანადო **ღონისძიებანი მათი საქმიანობის** სრულყოფისათვის; უზრუნველყონ დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის საჯაროობა, დადებითი გამოცდილების განზოგადება და ფართოდ გავრცელება; ამ საქმეში უნარიანად **გამოიყენონ** ადგილობრივი **პრესა** და **რადიომაუწყებლობა.**

*

* *

მოისმინა რა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ამხ. ნ. ვაშაძისა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის **რესპუბლიკური კომიტეტის** თავმჯდომარის ამხ. ა. კოლატაძის ინფორმაციები „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში სოციალისტური კანონიერებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის მდგომარეობის თაობაზე“, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სამინისტროსა და საქვეუწყებო საწარმოების საქმიანობა სოციალისტური კანონიერებისა** და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კელავ სრულად ვერ უპასუხებს მოთხოვნებს და მათი მუშაობა „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის განსახორციელებლად ჩათვალა არასაკმარისად.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაეკალა:

მიიღოს კონკრეტული ზომები საქვეუწყებო საწარმოებში „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მკაცრად დაცვისათვის. მთელი ეს მუშაობა წარმართოს „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად საწარმოო **გაერთიანება „ბელავტომაზის“ მინსკის საავტომობილო ქარხნის პარტიული,** პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციის მუშაობის **თაობაზე ზემდგომი ორგანოების** გადაწყვეტილების, სკკპ ცენტრალური

№ 10
ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის 1985 წლის პლენუმების მოთხოვნათა შესრულებისათვის ბრძოლის, სკკ პროგრამისა და წესდების პროექტთა და სსრ კავშირის 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა შემოქმედებითი განხილვის, სკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის წარმატებით მზადების ნიშნით.

განაგრძოს მუშაობა შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის, შრომის კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მშრომელთათვის განსამარტებლად და შესასწავლად, მათი სამართლებრივი და პოლიტიკური ცოდნის გასაღრმავებლად, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი შრომითი აქტიურობის ზრდას, თითოეული მშრომელის ნოვატორული სულისკვეთებისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას;

უზრუნველყოს ყველა საწარმოს კოლექტივთა რეალური მონაწილეობა სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების განხილვა-ჩამოყალიბებაში; მუდმივად გაძლიერეს მათი გავლენა სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე, აამაღლოს მათი აქტიურობა საწარმოო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში;

სრულად გამოიყენოს შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი სოციალისტური კანონიერებისა და შრომის დისციპლინის, საწარმოებში ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში;

ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრივი და მატერიალური ზემოქმედების ზომები შრომისა და საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, აგრეთვე საზოგადოებრივი წახალისების ზომები მუშაკთა თავდადებული შრომისათვის; ამავე დროს გადაჭრით აღმოფხვრას დისციპლინის დამრღვევებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების ფაქტები;

ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ეფექტიანი ბრძოლა წარმართოს ამ ნეგატიურ მოვლენებთან, შექმნას კოლექტივებში ლოთების, წესრიგის დამრღვევებისადმი მოუთმენლობის ატმოსფერო; დროულად გამოეხმაუროს მშრომელთა კრებებზე გამოთქმულ წინადადებებს; გააფართოოს შრომითი კოლექტივების წინაშე ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშგების პრაქტიკა.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაეკალთ:

გააუმჯობესონ „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაცია, უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი მათს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სოციალისტური კანონიერების, შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი, შრომის ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისადმი, მატერიალური და ენერგეტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რესურსების მომჭირნეობისა და ეკონომიისადმი; შრომისადმი კეთილსინდისიერი და სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდით მიაღწიონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას;

უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა როლის შემდგომი ამაღლება შრომითის კოლექტივებში; **ყოველნაირად** შეუწყონ ხელი **დეპუტატთა ჯგუფებისა** და საგუშაგოების, ამხანაგური სასამართლოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების საქმიანობის **გააქტიურებას;**

— შექმნან შრომითის კოლექტივებში ურთიერთმომთხოვნელობის ჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების უფრო სრულად გამოყენებას.

რჩევა მიეცა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად მიიღოს ზომები **სოციალისტური კანონიერებისა და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად,** სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისა და კოლექტივების წევრთა შრომითი აქტიურობისათვის მოძრაობის ყოველმხრივ განსავითარებლად, მშრომელთა შრომითი, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდისათვის, **სამართალდარღვევათა** ასაცდენად და სამართალდამრღვევთა ხელახლა აღსაზრდელად პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

*

* *

განიხილა რა საკითხი **„სკკპ** ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მოსახლეობის მომსახურებისათვის საწარმოთა ქსელის გასაფართოებლად და მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად სსრ კავშირის კავშირგამბულობის სამინისტროს მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილ**ების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს, აგრეთვე საქართველოს **სსრ კავშირგამბულობის სამინისტროს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებ**ები და მიიღონ ქმედითი ზომები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად და ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ ყოველი წლის 15 დეკემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ამასთან მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგამბულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების რეალიზაციის შესახებ.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საკითხი „სოფლის სოციალურ-კულტურული **განვითარებისათვის მოსკოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების** მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების **შესასრულებლად წალკის** სახალხო **დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის** თაობაზე, **აგრეთვე განიხილა** სხვა **საკითხებიც.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა

1985 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა. განხილულ იქნა საკითხი — საბინაო ფონდის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის **შესახებ კანონმდებლობის დასაცავად, საბინაო-საექსპლუატაციო და სარემონტო-**საშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, რომ საბინაო ფონდის გამოყენების და მოვლა-პატრონობის შესახებ კანონმდებლობის დასაცავად საბურთალოს რაიონში გაწეული მუშაობა არასაკმარისია და ადგილს რჩება მიეცეს:

თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს:

„საბინაო ფონდის დაცვა-შენახვისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისათვის ირკუტსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 12 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად უმოკლეს ვადაში დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული ნაკლოვანებების **აღმოსაფხვრელად;** გააქტიუროს მუშაობა საცხოვრებელი ფონდის დაცვა-შენახვის **უზრუნველყოფის** შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა **შესრულებისათვის,** მისი ექსპლუატაციის **გაუმჯობესებისათვის;**

აამაღლოს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა **საბინაო კანონმდებლობის** გაუხრელი დაცვისათვის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტის გეგმების **შესრულებისათვის,** კეთილმოწყობის დონის ამაღლებისათვის, ზამთრის სეზონისათვის მათი დროული მომზადების და მშრომელთა საბინაო პირობების **შემდგომი გაუმჯობესებისათვის;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება ბინების ტექნიკურ მომსახურებასა და მოვლა-პატრონობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, ამასთან **მეტად ჩაბას ამ საქმეში დეპუტატები** და **მოსახლეობა საცხოვრებელი** ადგილის მიხედვით;

არ დაუშვას საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი **სახსრებისა** და **მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაქსაქსვა** მრავალრიცხოვან ობიექტებზე, სახსრების არადანიშნულებისამებრ უგეგმო და სხვა ობიექტებზე ხარჯვა, აგრეთვე მიმდინარე რემონტის სამუშაოებზე გამოყენება, დაიცვას რემონტის ხანგრძლივობის დადგენილი ვადები და არ დაუშვას სარემონტო სამუშაოთა გაჭიანურება;

მკაცრი კონტროლი დაწესოს სახლების და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესების დაცვისადმი, არ დაუშვას დაუთმავრებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შემთხვევები, აამაღლოს სახელმწიფო მიმღები კომისიების როლი და პასუხისმგებლობა, **აღმოფხვრას ბიუროკრატიზმის, მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნებისადმი** გულგრილი და უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები;

მიიღოს საჭირო ზომები საცხოვრებელი ბინების ნაგავგამტარების და **ნაგავსაყარების** ყოველდღიური **დასუფთავებისათვის**;

განიხილოს შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და **მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.**

სათანადო რეკომენდაციები მიეცათ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს **აღმასკომს**, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სამინისტროს.